

გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

სარჩევი

I. ტერმინთა განმარტება	3
II. რეგულირების სფერო	4
III. სტრატეგიის მიზანი	6
IV. სტრატეგიის ძირითადი პრინციპები.....	6
V. სტრატეგიული მიზნები	7
VI. სტრატეგიული ამოცანები.....	8
VII. სტრატეგიის განხორციელება და მონიტორინგი	9
VII. 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა.....	11

I. ტერმინთა განმარტება

1. **გენდერი** - სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე.¹
2. **გენდერული თანასწორობა** – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.²
3. **გენდერული მენსტრიმინგი** - ყველა სფეროში და დონეზე პოლიტიკის შემუშავებისას და განხორციელებისას გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება.³
4. **გენდერული ბიუჯეტირება** - ბიუჯეტის გენდერულად სენსიტიური შეფასება, საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება და შემოსავლების და გასავლების რესტრუქტურირება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.⁴
5. **თანასწორი შესაძლებლობები** – ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემა.⁵
6. **თანასწორი მოპყრობა** – განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.⁶

¹ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ მუხლი 3, (ა), 2010

² საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ მუხლი 3, (ბ), 2010

³ საქართველოს პარლამენტი, გენდერული თანასწორობის კონცეფცია, ტერმინთა განმარტება, 2006

⁴ ევროკომისია, მოსაზრება გენდერული ბიუჯეტირების შესახებ, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი შესაძლებლობების მრჩეველთა კომიტეტი, 2003 წელი

⁵ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 3, (ზ), 2010

⁶ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 3, (თ), 2010

7. **სექსუალური შევიწროება** - მოიცავს არასასურველ, სექსუალური ხასიათის ქცევას, მათ შორის ფიზიკურ კონტაქტსა და სხვა მცდელობებს, სექსუალური შინაარსის მქონე განცხადებებს, პორნოგრაფიის ჩვენებასა და სექსუალური ხასიათის მოთხოვნებს; მნიშვნელობა არ აქვს, ასეთი ქცევა გამოხატული იქნება ვერბალურად თუ ქმედებით. ამგვარი პრაქტიკა დამამცირებელია და შესაძლოა, მან ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიწვიოს. დისკრიმინაციულია ქმედება, თუ ქალს აქვს გონივრული ეჭვი, რომ აღნიშნულის გაპროტესტება უარყოფით გავლენას მოახდენს მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის სამსახურში აყვანასა თუ დაწინაურებაზე, ან როდესაც ასეთი ქცევა მას მტრულ სამუშაო გარემოს უქმნის.⁷

წინამდებარე დოკუმენტში (შემდგომში სტრატეგია და სამოქმედო გეგმა) გამოყენებულ ტერმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობები.

II. რეგულირების სფერო

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში სამინისტრო) გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თ

ავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, ითვალისწინებს საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და საქართველოს მთავრობის პოლიტიკას გენდერული თანასწორობის სფეროში. სამინისტრო ახორციელებს ძალისხმევას სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დასამკვიდრებლად და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის მიზნით შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბება-განხორციელებას. სამინისტროს კომპეტენციის გათვალისწინებით, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობა განსაკუთრებით პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს სამინისტროს ბენეფიციარებზე.

⁷ გაეროს კომიტეტი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, ზოგადი რეკომენდაცია #19, 1992 წელი, მუხლი 11, პარაგრაფი 18.

სამინისტროს ბენეფიციარები არიან: დევნილები, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახები (ეკომიგრანტები), რეპატრიანტები, დაბრუნებული მიგრანტები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები და თავშესაფრის მაძიებლები. სამინისტროს ბენეფიციარები ხშირ შემთხვევაში საჭიროებენ განსაკუთრებულ ზრუნვასა და ყურადღებას სახელმწიფოს მხრიდან და მნიშვნელოვანია უფრო დიდი ძალისხმევა მიიმართოს მათი უფლებების დაცვისაკენ ქალების, გოგოების, მამაკაცებისა და ვაჟების განსხვავებული პრიორიტეტებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფომ უნდა „უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.“⁸

გენდერული თანასწორობის სტრატეგია სამინისტროს დაეხმარება თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა გენდერული თანასწორობის მიღწევისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის სფეროში.

გენდერული თანასწორობის სტრატეგია ეფუძნება „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და „ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონებს, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს; სტრატეგიაში ასახულია გენდერული თანასწორობის სფეროში საქართველოს მთავრობის პოლიტიკა - ეროვნული სამოქმედო გეგმები.⁹

⁸ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 2, 2010.

⁹ გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, საქართველოს პარლამენტის დადგენილება #1945, 2014; ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განსახორციელებელი ეროვნული სამოქმედო გეგმა; საქართველოს მთავრობის დადგენილება, #339, 2016 ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა, საქართველოს მთავრობის დადგენილება, #341, 2016

III. სტრატეგიის მიზანი

აღნიშნული სტრატეგიის მიზანია სამინისტროს საქმიანობაში გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობა.

სტრატეგია ხელს შეუწყობს სამინისტროს საქმიანობაში ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგოების განსხვავებულ საჭიროებებისა და პრიორიტეტების უკეთ განსაზღვრასა და მუშაობაში.

წინამდებარე სტრატეგიას და მისგან გამომდინარე ორწლიან სამოქმედო გეგმას სამინისტრო სახელმძღვანელო ჩარჩოდ გამოიყენებს ყველა საქმიანობის მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისათვის. სამოქმედო გეგმის განხორციელების პროგრესი შეფასდება ყოველწლიურად, ხოლო გეგმის განახლება მოხდება ორ წელიწადში ერთხელ.

IV. სტრატეგიის ძირითადი პრინციპები

ა) გენდერული თანასწორობის გაძლიერება და დაცვა

ამ პრინციპის ქვეშ იგულისხმება გენდერული მენსტრიმინგის დანერგვა სამინისტროს პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში.

აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, ასევე უნდა დაიხვეწოს სამინისტროში სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი - როგორც სამინისტროს ბენეფიციარების, ისე სამინისტროს თანამშრომელთა შესახებ. აღნიშნული ანალიზი ერთის მხრივ, საშუალებას მისცემს სამინისტროს, შეაფასოს საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობა ბენეფიციარი ქალების, გოგოების, კაცებისა და ვაჟების განსხვავებული საჭიროებებისა და პრიორიტეტების დაკმაყოფილების კუთხით, ხოლო მეორეს მხრივ შეაფასოს სამინისტროს თანამშრომელთა გენდერული ბალანსი, მათ შორის თანამდებობრივი იერარქიის მიხედვით.

ბ) დისკრიმინაციის პრევენცია და აღმოფხვრა

სამინისტროს სისტემაში მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ სამინისტროს საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი ან ირიბი ფორმით;

დისკრიმინაციის პრევენცია და აღმოფხვრა მიღწევადია სამინისტროს სისტემაში ქალებისა და კაცებისთვის თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფის გზით, რომელიც გამოხატულია თანასწორი შესაძლებლობების შექმნით და თანასწორი უფლებების რეალური გამოყენების საშუალებით.

გ) სექსუალური შევიწროების პრევენცია და აღმოფხვრა

სამინისტროს სისტემაში ფუნდამენტურად მიუღებელია ნებისმიერი სახის სექსუალური შევიწროება. სამინისტრო იღებს ვალდებულებას შექმნას სამინისტროს სისტემაში სექსუალური შევიწროების აღმოფხვრისა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი;

V. სტრატეგიული მიზნები

1. სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა და მისი ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა და მის საქმიანობაში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინების ხელშეწყობა;

- სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა (მათ შორის ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე თანამშრომელთა სწავლებისა და ცნობიერების ამაღლების გზით);
- სამინისტროს მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის კანონმდებლობით და გენდერული თანასწორობის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;
- კომუნიკაციის სტრატეგიის შესაბამისად სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესება;
- გენდერული თანასწორობის საკითხების განხილვის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან, ამ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან;
- სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს სისტემაში სექსუალური შევიწროვებისა და დისკრიმინაციის სხვა შესაძლო ფორმების გამოვლენის ხელშეწყობა და შესაბამისი რეაგირების მოხდენა;
- სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის საკითხების შიდა კვლევისა და ანალიზის უზრუნველყოფა, ანალიზის შესაბამისად, სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გენდერული ბიუჯეტირების განხორციელება;

VI. სტრატეგიული ამოცანები

- სამინისტროს მიერ 2017 წლის აპრილიდან გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი ინსტიტუციური სისტემის შექმნა, რაც გამოიხატება სამინისტროს ცენტრალური აპარატის დონეზე გენდერის საკითხებში მინისტრის მრჩეველის პოზიციის შექმნასა და ტერიტორიული ორგანოების დონეზე გენდერულ საკითხებზე საკონტაქტო პირების დანიშვნაში;
- სამინისტროში შექმნილი გენდერული თანასწორობის საკითხების კომისიის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა წინამდებარე სტრატეგიისა და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციისთვის;
- სამინისტროს ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლება გენდერული ანალიზის, გენდერულად სენსიტიური დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების სფეროში; საგანმანათლებლო/საინფორმაციო ღონისძიებების ორგანიზება სამინისტროს თანამშრომლებისთვის ქალთა უფლებებისა და გენდერული

თანასწორობის საკითხებზე;

4. სამინისტროს მიერ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა ეროვნული სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
5. სამინისტროს მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების "ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" განხორციელებისათვის და გენდერული თანასწორობის შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
6. სამინისტროში კომუნიკაციის სტრატეგიის შესაბამისად, საზოგადოებისთვის რეგულარულად განახლებადი ინფორმაციის მიწოდება გენდერული საკითხების, გენდერულად სენსიტიური სტრატეგიების პროგრესისა და შედეგების შესახებ;
7. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა წინამდებარე გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში, მათ შორის ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების გზით;
8. სამინისტროში სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო პოლიტიკისა და შესაბამისი საჩივრების მიღება-განხილვის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, ძალისხმევის გაწევა ამ საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების მიზნით;
9. სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების დაგეგმვა გენდერული საჭიროებების და ანალიზის გათვალისწინებით, რომლებშიც ასახული იქნება ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგონების განსხვავებულ საჭიროებები და პრიორიტეტები.
10. ინფორმაციის დამუშავება გენდერულ ჭრილში, სამინისტროს სისტემაში სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების რეგულარული შეგროვებისა და ანალიზის სისტემის დანერგვა;

VII. სტრატეგიის განხორციელება და მონიტორინგი

1. გენდერული თანასწორობის სტრატეგიით დასახული მიზნების და ამოცანების გადასაწყვეტად სამინისტრო და მისი

სტრუქტურული ერთეულები, ასევე სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განხორციელების დეტალური და რეალისტური სამოქმედო გეგმის შემუშავების და შემუშავებული გეგმის შესრულების პროცესში. ასევე მიმდინარე პროგრამებსა და პროექტებში გაითვალისწინებენ გენდერულ ასპექტებს.

2. გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დაფინანსების წყარო იქნება როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო სახსრები, ასევე ინსტიტუციონალური და სხვა რესურსები.
3. წინამდებარე სტრატეგიის განხორციელებას ხელმძღვანელობს გენდერული თანასწორობის საკითხების კომისია. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება სამინისტროს არსებულ შიდა ნორმატიულ აქტებში ცვლილებები, კერძოდ, მოხდება გენდერული ასპექტების ინტეგრირება. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებლობა და მკოორდინირებელი ფუნქცია ეკისრება სამინისტროში შექმნილ გენდერული თანასწორობის კომისიას.
4. სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის შედეგად რეგულარულად მოხდება დასახულ ღონისძიებათა ემედიტობის შეფასება და სტრატეგიის გადახედვა-განახლება ახალი გარემოებების გათვალისწინებით.

VII. 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა

ამოცანები	საქმიანობა	ინდიკატორები (ამოცანების)	შესრულების ვადები	ბიუჯეტი
სტრატეგიული მიზანი 1: სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა და ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა და მის საქმიანობაში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინების ხელშეწყობა;				47.704.00 GEL
ამოცანა 1. 2017 წლის აპრილიდან სამინისტროში შექმნილია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი ინსტიტუციური სისტემა	<p>1.1. 2017 წლის აპრილისთვის სამინისტრომ შექმნას მინისტრის გენდერული მრჩევლის საშტატო ერთეული და დანიშნოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი;</p> <p>1.2. შემუშავდეს და დამტკიცდეს მინისტრის გენდერული მრჩევლის სამუშაო აღწერილობა;</p> <p>1.3. სამინისტროს თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში გამოიყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი, რომელიც</p>	<p>1.1. 2017 წლის აპრილიდან სამინისტროში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი ინსტიტუციური სისტემის არსებობა</p> <p>ბაზისი: 2016 წლისათვის სამინისტროში არ არსებობს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი ინსტიტუციური სისტემა</p>	2017	<p>1.1 14.100.00 GEL</p> <p>1.2 175.00 GEL</p> <p>1.3 31.500.00 GEL</p>

	იქნება რეგიონში გენდერულ საკითხებზე საკონტაქტო პირი;	მიზანი: 2017 წლის აპრილისთვის შექმნილია გენდერული მრჩეველის სამტატო ერთეული, დანიშნულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი და სამინისტროს თითოეულ ტერიტორიულ ორგანოში გამოყოფილია რეგიონში გენდერულ საკითხებზე საკონტაქტო პირი.		
ამოცანა 2. უზრუნველყოფილია სამინისტროში შექმნილი გენდერული თანასწორობის საკითხების კომისიის ეფექტური ფუნქციონირება წინამდებარე სტრატეგიისა და მისგან გამომდინარე სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაციისთვის;	2.1. სამინისტროში შემუშავდეს გენდერული თანასწორობის საკითხების კომისიის დებულება, გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; 2.2. უზრუნველყოფილი იყოს კომისიის რეგულარული მუშაობა და კომისიამ განახორციელოს მონიტორინგი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზე;	2.1. მტკიცებულება, რომ სამინისტროში შექმნილი გენდერული თანასწორობის საკითხების კომისია ეფექტურად ფუნქციონირებს ბაზისი: 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით ჩატარებულია კომისიის 1 სხდომა, არ არის დამტკიცებული გენდერული	2016-2017 წლები	2.1 1.113.00 GEL 2.3 816.00 GEL

	<p>2.3. მომზადდეს მინისტრისთვის სპეციალური ყოველწლიური ანგარიში კომისიის მუშაობაზე;</p> <p>2.4. შემუშავდეს გენდერული აუდიტის რეკომენდაციების შესასრულებლად აუცილებელი გადაწყვეტილებები და განხორციელდეს მონიტორინგი გადაწყვეტილებების აღსრულებაზე.</p>	<p>თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა</p> <p>მიზანი: წელიწადში სულ მცირე კომისიის 4 შეხვედრის ორგანიზება და შესაბამისი ოქმის მომზადება; გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება</p> <p>2.2. %</p> <p>თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის განხორციელებული რეკომენდაციების</p> <p>ბაზისი: 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით განხორციელებულია თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის რეკომენდაციების 40%</p> <p>მიზანი: განხორციელდეს თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის</p>		
--	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--

		რეკომენდაციების მინიმუმ 60%		
სტრატეგიული მიზანი 2. სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა (მათ შორის ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე თანამშრომელთა სწავლებისა და ცნობიერების ამაღლების გზით);				3.920.00 GEL
ამოცანა 3. სამინისტროს ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების კომპეტენცია ამაღლებულია გენდერული ანალიზის, გენდერულად სენსიტიური დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების სფეროში; ჩატარებულია საგანმანათლებლო/საინფორმაციო ღონისძიებები სამინისტროს თანამშრომლებისთვის ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე.	3.1.სამინისტროს ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლება გენდერული ანალიზის, გენდერულად სენსიტიური დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების სფეროში; 3.2. საგანმანათლებლო / საინფორმაციო ღონისძიებების ორგანიზება სამინისტროს ცენტრალური და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებისთვის ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე;	3.1 სამინისტროს თანამშრომლების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს სპეციალური გადამზადება გენდერულ საკითხებზე და ქალთა უფლებებზე ბაზისი: 2016 წლის აგვისტოს მონაცემებით განხორციელებული აქტივობები არ ატარებდა სისტემურ ხასიათს და ეფუძნებოდა მხოლოდ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივებს	2016-2017 წლები	3.1 1.310.00 GEL 3.2 2.610.00 GEL

		<p>მიზანი: 2017 წლის ბოლოსთვის თანამშრომლების სულ მცირე 60 % იქნება გადამზადებული გენდერულად სენსიტიური ანალიზის, დაგეგმვისა და მონიტორინგის განხორციელების მიმართულებით; ასევე ინფორმირებული ქალთა უფლებების შესახებ.</p>		
<p>სტრატეგიული მიზანი 3. სამინისტროს მიერ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის კანონმდებლობით და გენდერული თანასწორობის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;</p>				<p>69.032.00 GEL</p>
<p>ამოცანა 4. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა</p>	<p>4.1. სამინისტრომ, როგორც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის</p>	<p>4.1 სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებებით განსაზღვრული</p>	<p>2016-2017 წლები</p>	<p>4.1 1.024.00 GEL 4.2; 4.3 815.00 GEL</p>

<p>(დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა ეროვნული სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია;</p>	<p>განმახორციელებელმა უწყებამ ეროვნული სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, შეიმუშაოს ყოველწლიური შიდა სამოქმედო ინსტრუქცია და მოახდინოს მისი ინტეგრირება შიდაინსტიტუციურ სამოქმედო გეგმაში;</p> <p>4.2. სამინისტრომ დააორგანიზოს სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად ქალთა მიმართ ძალადობისა (მათ შორის – ადრეული ქორწინების საკითხების) და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე არსებული სახელმწიფო მომსახურებების პოპულარიზაციის მიზნით, საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრები თბილისსა და რეგიონებში, იძულებით გადაადგილებულ პირებთან;</p> <p>4.3. სამინისტრომ უზრუნველყოს ოჯახში</p>	<p>აქტივობების შესრულების პროცენტული რაოდენობა</p> <p>ბაზისი: აქტივობების 80% შესრულებულია.</p> <p>მიზანი: 2017 წლის დეკემბრისთვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების სულ მცირე 80% შესრულებულია</p>		
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--

	ძალადობის პრევენციის მიზნით სპეციალური მასალების საინფორმაციო-საცნობარო მასალების გავრცელება ბენეფიციარებთან			
ამოცანა 5. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების "ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" განხორციელებისათვის და გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია	5.1. წელიწადში ორჯერ საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება იძულებით გადაადგილებულ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათ ოჯახის წევრებთან სექსუალური ან სხვა გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებზე, როგორცაა ომის ნარჩენები, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა და უკანონო დაკავების საფრთხეები; 5.2. სამინისტრომ, როგორც დამხმარე უწყებამ უზრუნველყოს წლიურად არანაკლებ 10 უფასო იურიდიული დახმარების საკონსულტაციო შეხვედრის	5.1 სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პროცენტული რაოდენობა ბაზისი: აქტივობების 80% შესრულებულია. მიზანი: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების სულ მცირე 80% შესრულებულია	2016-2017 წლები	5.1 722.00 GEL 5.2 920.00 GEL 5.3 51.200.00 GEL 5.4 14.351.00 GEL

	<p>ორგანიზება გამყოფი ხაზის მიმდებარე რეგიონებში მცხოვრები ქალებისა და გოგონებისათვის;</p> <p>5.3. სამინისტრომ უზრუნველყოს იურიდიული დახმარების რეგულარული მიწოდება იძულებით გადაადგილებული ქალებისა და გოგონებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის.</p> <p>5.4. სამინისტრომ უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა ცნობიერების ამაღლება არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მათი ფინანსური მხარდაჭერა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობისათვის და გასცეს თანადაფინანსებით მცირე გრანტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა ეკონომიკურ</p>			
--	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--	--

	გამლიერებას;			
სტრატეგიული მიზანი 4. სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესება კომუნიკაციის სტრატეგიის შესაბამისად;				1.267.00GEL
ამოცანა 6. კომუნიკაციის სტრატეგიის შესაბამისად, საზოგადოებისთვის რეგულარულად განახლებადი ინფორმაცია მიწოდებულია გენდერული საკითხების, გენდერულად სენსიტიური სტრატეგიების პროგრესისა და შედეგების შესახებ;	6.1. სამინისტროს ვებგვერდზე, ახალი ამბების ელექტრონულ და ბეჭდვით დაიჯესტებში, ეროვნული დონის გაზეთებსა და სოციალურ მედიაში ინფორმაციის რეგულარული განახლება გენდერული საკითხების შესახებ;	6.1. გავრცელებული პუბლიკაციების, ახალი ამბების რაოდენობა სამინისტროს ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში და მედიაში. ბაზისი: 5 ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა გენდერულ თემატიკას მიზანი: სულ მცირე 8 ინფორმაცია/პუბლიკაცია	2016-2017 წლები	6.1 1.267.00 GEL
სტრატეგიული მიზანი 5. გენდერული თანასწორობის საკითხების განხილვის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან, ამ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან;				3.630.00 GEL
ამოცანა 7. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ჩართულები არიან წინამდებარე გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და	7.1. გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა რეგიონულ/ადგილობრივ დონეზე და მათი რეგულარული ჩართულობის	7.1 სამინისტროსა და სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ერთობლივი	2016-2017 წლები	7.1 1.815.00 GEL 7.2 1.815.00 GEL

<p>სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში, მათ შორის ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება- განხორციელებაში;</p>	<p>უზრუნველყოფა სამინისტროს მიერ დაგეგმილ აქტივობებში;</p> <p>7.2. სამინისტროს ბენეფიციარებთან შეხვედრების ჩატარება შესაბამისი და დაინტერესებული სტრუქტურების / ორგანიზაციების მონაწილეობითა და მათთან თანამშრომლობით თბილისსა და რეგიონებში</p>	<p>ინიციატივების რაოდენობა</p> <p>ბაზისი: 2 ერთობლივი ინიციატივა</p> <p>მიზანი: სულ მცირე 4 ერთობლივი ინიციატივა</p>		
<p>სტრატეგიული მიზანი 6. სამინისტროს სისტემაში სექსუალური შევიწროვებისა და დისკრიმინაციის სხვა შესაძლო ფორმების გამოვლენის ხელშეწყობა და სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი რეაგირების მოხდენა; შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება;</p>				<p>1.060.00 GEL</p>
<p>ამოცანა 8. სამინისტროში შექმნილია სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო პოლიტიკისა და შესაბამისი საჩივრების მიღება-განხილვის ეფექტიანი მექანიზმი და ხორციელდება ამ საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება;</p>	<p>8.1. სექსუალური შევიწროების საწინააღმდეგო ონლაინ ინტერნეტ-კურსის პილოტირება სამინისტროს თანამშრომლებისთვის;</p> <p>8.2. სამინისტროს სპეციალური შიდა რეგულიაციების შემუშავება და დამტკიცება</p>	<p>8.1 სამინისტროში სექსუალური შევიწროების საკითხებზე გადამზადებული შესაბამისი თანამშრომლების რაოდენობა;</p> <p>ბაზისი: 2016 წლისთვის - 0%</p>	<p>2016 წელი</p>	<p>8.1 UNWOMEN 8.2 1.060.00 GEL</p>

		<p>მიზანი: 2017 წლისთვის შესაბამისი თანამშრომლების 100 %</p> <p>8.2 შემუშავებულია/დამტკიცებულია სპეციალური რეგულაციები სამინისტროს სისტემაში</p> <p>ბაზისი: განისაზღვრება 2017 წელს ;</p> <p>მიზანი: 2017 წლისთვის სპეციალური რეგულაციების შემუშავება/დამტკიცება სამინისტროს სისტემაში</p>		
<p>სტრატეგიული მიზანი 7. სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობის საკითხების შიდა კვლევისა და ანალიზის უზრუნველყოფა, ანალიზის შესაბამისად, სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გენდერული ბიუჯეტირების განხორციელება;</p>				<p>19.220.00 GEL</p>
<p>ამოცანა 9. სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიების, პროგრამების და პროექტების დაგეგმვა ხორციელდება გენდერული</p>	<p>9.1. სამინისტროში არსებული სტრატეგიების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და შიდა რეგულაციების გენდერული</p>	<p>9.1 ასეთი დოკუმენტებისა და პროგრამების რაოდენობა;</p> <p>ბაზისი: 3 დოკუმენტი, რომელშიც იყო</p>	<p>2016-2017 წელი</p>	<p>9.1 14.551.00 GEL 9.2 870.00 GEL</p>

<p>საჭიროებების და ანალიზის გათვალისწინებით, რომლებშიც ასახულია ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგოების განსხვავებული საჭიროებები და პრიორიტეტები.</p>	<p>მეინსტრუმენტის განხორციელება; 9.2. გენდერული ბიუჯეტირების პრინციპების გამოყენება ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.</p>	<p>მიზანი: სულ მცირე 3 დოკუმენტი, რომელშიც იქნება გენდერული ასპექტები გათვალისწინებული</p>		
<p>ამოცანა 10. სამინისტროს სისტემაში ხორციელდება ინფორმაციის დამუშავება გენდერულ ჭრილში, ხდება სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების რეგულარული შეგროვება და დანერგვითი მონაცემების ანალიზის სისტემა.</p>	<p>10.1. სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების შეგროვების შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება, საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით; 10.2. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვების გამართული სისტემის დანერგვა, ინფორმაციის დამუშავების და გაანალიზების მიმართულებით;</p>	<p>10.1 დანერგვითი მონაცემების დამუშავების სისტემა; ბიუჯეტირების და პროგრამების შემუშავების პროცესში ხდება არსებული ანალიტიკური მასალის გამოყენება.</p> <p>ბაზისი: განისაზღვრება 2017 წლის ივნისში;</p> <p>მიზანი: განისაზღვრება 2017 წელს;</p>		<p>10.1 294.00 GEL 10.2 3.505.00 GEL</p>
			<p>ჯამი</p>	<p>145.833.00 GEL</p>